დამტკიცებულია
საქართველოს მომიჯნავე უფლებათა ასოციაცია

ძალაშია 2023 წლის 01 თებერვლიდან

განაკვეთები (ტარიფები)
მომიჯნავე უფლებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ფონოგრამების რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ რადიოეთერში საჯარო გადაცემისათვის

კლასი	მომიჯნავე უფლებით დაცული ნაწარმოებების ეთერში გამოყენების ხვედრითი წილი	განაკვეთი
I	0-5%	სამაუწყებლო შემოსავლის 0.25% მაგრამ არანაკლებ 75 ლარისა ყოველთვიურად
II	5-20 %	სამაუწყებლო შემოსავლის 0.4% მაგრამ არანაკლებ 75 ლარისა ყოველთვიურად
III	20-50 %	სამაუწყებლო შემოსავლის 0.65% მაგრამ არანაკლებ 75 ლარისა ყოველთვიურად
IV	50-75%	სამაუწყებლო შემოსავლის 0.85% მაგრამ არანაკლებ 75 ლარისა ყოველთვიურად
V	75-100%	სამაუწყებლო შემოსავლის 1% მაგრამ არანაკლებ 75 ლარისა ყოველთვიურად

- სამაუწყებლო შემოსავლის არარსებობის შემთხვევაში ვრცელდება მინიმალური განაკვეთები.
- განაკვეთები ვრცელდება ინტერნეტ რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციებზეც.
- არაკომერციული და/ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 100%-ით დაფინანსებული რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციისათვის პროცენტული განაკვეთების ოდენობა მცირდება 20%-ით.
- თბილისის ფარგლებს გარეთ, ერთ სამაუწყებლო გეოგრაფიულ ზონაში მაუწყებელი რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციისათვის გადასახდელი საავტორო ჰონორარი მინიმალური განაკვეთის ნაწილში შეადგენს დადგენილი ოდენობის 20%-ს.
- რადიოსამაუწყებლო ორგანიზაციისათვის, რომელიც ფლობს ორ და მეტ რადიოსამაუწყებლო არხს, პროცენტული განაკვეთების ოდენობა მცირდება 25%-ით.
- სამაუწყებლო შემოსავალი ამ განაკვეთების მიზნებისთვის განიმარტება როგორც მაუწყებლობით მიღებული მთლიანი შემოსავალი დღგ-ის ჩათვლით (იჯარის, გრანტების და სხვა ისეთი შემოსავლების გარდა, რომელიც მიიღება არასამაუწყებლო საქმიანობით).
- განაკვეთები შეიცავს დღგ-ს.

გვანცა ბაიდოშვილი
გამგეობის თავმჯდომარე